

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

მზია არაბული
2018-19 სასწ.წელი

ქ.დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

თ ე მ ა

მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

ქ.დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლის დაწყ.კლასის მასწავლებელი

მზია არაბული

2018-19 სასწ. წელი

სარჩევი

შესავალი.....4

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზნები და ამოცანები..4

I.1. მოკლე ინფორმაცია მესამე კლასის შესახებ

I.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი

I.3. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

I.4. კვლევის მიზანი

I.5. კვლევის ამოცანები

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი.....5

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა.....6

თავი IV

კვლევის დიზაინი.....9

IV.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

IV.2. კვლევის მეთოდები

IV.3. კვლევის ვადები

IV.4. ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა

თავი V

ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასება.....14

თავი VI

დასკვნები/რეკომენდაციები.....16

VI.1. დასკვნები

VI.2.რეკომენდაციები

თავი VII

ბიბლიოგრაფია.....	19
დანართები.....	20

შესავალი

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქ.დედოფლისწყაროს #2 საჯარო სკოლის მე-3 კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. ნაშრომში განხილულია სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის აუცილებლობა, მისი გავლენა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და ამ პრობლემის გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული სხვადასხვა მეთოდები, აქტივობები და სტრატეგიები. ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან:

I თავში მოცემულია ინფორმაცია სსიპ ქ.დედოფლისწყაროს N2საჯარო სკოლის IIIკლასის შესახებ. განხილულია პრობლემა და საკვლევი საკითხი,პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, კვლევის მიზანი და კვლევის ამოცანები.**II თავი** ეხება პრაქტიკული კვლევის არსს, **III თავი-** ლიტერატურის მიმოხილვას, **IVთავში**

განხილულია კვლევის დიზაინი და ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა, V თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს, ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასებას, VI თავი მოიცავს რეკომენდაციებს, VII თავში გაკეთებულია დასკვნა.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა:

I.1. მოკლე ინფორმაცია მესამე კლასის შესახებ: სსიპ ქ. დ/წყაროს #2 საჯარო სკოლის მესამე კლასში სწავლობს 21 მოსწავლე: 6 გოგონა და 15 ვაჟი. კლასში სხვადასხვა საგანს ასწავლის 4 მასწავლებელი: მათგან 2 უფროსი და 2 პრაქტიკოსი მასწავლებელია. მასწავლებლები პერიოდულად გადიან ტრენინგებს, მათ აქვთ საშუალება, ტექნოლოგიების გამოყენებით ხარისხიანად წარმართონ სწავლა-სწავლების პროცესი.

I.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი:

კვლევის საფუძველი გახდა მშობლების პასიურობა სასწავლო პროცესის მიმართ. ვამჩნევდი, რომ რამდენიმე მოსწავლეს აკლდა მშობლების ყურადღება და ხშირად მოდიოდნენ მოუზადებელი სკოლაში. ზოგი მათგანი თვით სასწავლო პროცესის მიმართ იჩენდა უყურადღებობას. სავარაუდოდ, ეს უარყოფითად მოქმედებდა მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე, კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებაზე.

-რა აქტივობები უნდა დაიგეგმოს? როგორ უნდა მოხდეს მშობელთა მეტი ჩართვა სასწავლო პროცესში? -აი ეს კითხვები, რომელთა მოსაგვარებლად გადავწყვიტე დაწყ. კლასის მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებში განმეხორციელებინა კვლევა.

I.3. პრობლემის გამომწვევ ერთ-ერთ და მთავარ სავარაუდო მიზეზად ვთვლი მშობლის პასიურობას და უინტერესობას ბავშვის განათლების მიმართ და მოსწავლის სრულად სკოლისათვის მინდობას.

I.4. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, დეტალურად შევისწავლო ის პრობლემები, რაც ხელს უშლის მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და გამოვჩინო პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები.

I.5. კვლევის ამოცანები

- დაკვირვება მშობლებისა და ბავშვების ურთიერთობაზე: რომელი ბავშვის აკადემიური მოსწრების ხარისხი უფრო მაღალია-ვისი მშობელიც აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში, თუ რომელი ბავშვის მშობელიც პასიურია;
- ფოკუს-ჯგუფის შექმნა და დისკუსიის გზით პრობლემის გადაჭრის გზების ძიება;

- მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა;
- მონაცემების კოდირება და ანალიზი;
- შედეგებისა და დასკვნების პრეზენტაცია;

თავი II.

პრაქტიკული კვლევის არსი:

საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, წამოვყენე საკვლევი პრობლემა, რომელიც გულისხმობდა მშობელთა პასიური ჩართულობით გამოწვეულ პრობლემებს და მისი გაუმჯობესების გზებს.

პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით კოლექტიურ მიდგომას, მკვლევარებისა და არასპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ ქმედებას.

კვლევა განვახორციელე დაწყ. საფეხურის III კლასის მოსწავლეებში, მათ მშობლებსა და ამ კლასში შემსვლელ პედაგოგებში. კვლევაში მონაწილეობდა 21 მოსწავლე, 20 მშობელი და 3 მასწავლებელი. სულ 44 რესპოდენტი.

თავი III.

ლიტერატურის მიმოხილვა:

ახალი ესგ ითვალისწინებს დამრიგებლის მუდმივ კომუნიკაციას მოსწავლის მშობელთან. მათი ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

დამრიგებლის მოვალეობებია: (ესგ)

ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ.

დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი; ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვედეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ზ) სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით; (ახალი ესგ მუხლი 19)

გავეცანი სხვადასხვა ლიტერატურას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: დაწყებითი განათლების პროექტმა „ჯიპრაიდმა“ მშობელთა ჩართულობის უამრავი აქტივობა

შემოგვთავაზა. ტერმინი, „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში, მოსწავლეს აქვს უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, მოსწავლეს უვითარდება სოციალური უნარები და მისი ქცევა პოზიტიური ხდება. (მშობელთა ჩართულობა. თბილისი 2015)

როგორ შეუძლიათ მშობლებს, ეფექტიანად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში? საქ-ს დაწყ. განათლების პროექტი (G-Fried) მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო სკოლების ხელშეწყობის აუცილებლობა მშობელთა ჩართულობის მიმართულებით.

გავეცანი აგრეთვე საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის კვლევას „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“, რომელიც განხორციელდა საქართველოს რეგიონებში და წარმოდგენილია თითოეული ფოკუს-ჯგუფის მოკლე ანგარიში. კახეთში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ მშობლები ძირითადად ჩართულნი არიან ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორცაა შეღებვა, ლაშქრობა, ღონისძიება, ექსკურსია და სხვა. სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობაც ხშირად მოიაზრება ბავშვის მეცადინეობაში მშობლის მონაწილეობით. (მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. თბილისი 2017)

გავეცანი EDU.ARIS.GE-ს სტატიას „სკოლა და მშობელი“-რას ნიშნავს მშობლის ჩართულობა და როგორ უნდა გაძლიერდეს მშობლის როლი სასკოლო ცხოვრებაში.

EDU.ARIS.GE დაინტერესდა, როგორია მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და როგორი უნდა იყოს უფრო მეტი ეფექტიანობისთვის? მათმა კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტად სასკოლო ცხოვრებაში სსმ მოსწავლის მშობლები არიან ჩართული. მშობელთა ჩართულობა სამეურვეო საბჭოს ფარგლებშიც კი საკმაოდ დაბალია. ექსპერტები თვლიან, რომ აუცილებელია გამოიკვეთოს და შეიქმნას ლიდერი მშობლების ჯგუფები, კლუბები ან თუნდაც ასოციაციები, რომლებიც ნაკლებ აქტიური მშობლების გაძლიერებაზეც იზრუნებენ და სკოლის მმართველობის პროცესშიც აქტიურად ჩაერთვებიან. (სკოლა და მშობელი; 15 ივნისი 2016)

მ. გოგმაჩაძე სტატიაში „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს, თუ რაოდენ მნიშვნელობანია მშობლის როლი მოსწავლის წარმატებაში. როცა მშობელი აქტიურად არის ჩართული შვილის განათლების პროცესში, მოსწავლეს აქვს უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება. ტესტებისა და გამოცდების უკეთესი შედეგები, უვითარდებათ სოციალური უნარები, აქვს უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები. სასკოლო პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობენ მშობლები, უფრო წარმატებულია. სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი, რეგულარული კომუნიკაცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. (გოგმაჩაძე მ. „მშობელთა ჩართულობა“ 20 ნოემბერი 2015)

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სტატია „მშობელთა ჩართულობა სკოლაში“: მშობლების აქტიური ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში ამდიდრებს სკოლის კულტურას, რაც დადებითად აისახება მისი დემოკრატიულობის ხარისხზე. მოსწავლეები გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით. სკოლა თავად უნდა იყოს დაინტერესებული მშობელთან აქტიური თანამშრომლობით, რაც მნიშვნელოვანწილად მისი წარმატების განმსაზღვრელი იქნება. აქტივობა „კითხვის ოსტატი“ წიგნის კლუბი, სადაც მოდიან მშობლები და ბავშვებს უკითხავენ წიგნს. „შესანიშნავი ოთხშაბათი“ „ოჯახური კითხვის დღე“-პროექტი („პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სტატია „მშობელთა ჩართულობა სკოლაში“ 8 სექტემბერი 2014)

თავი IV

კვლევის დიზაინი:

IV.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. მე-3 კლასის მოსწავლეები
2. მოსწავლეთა მშობლები
3. კლასში შემსვლელი მასწავლებლები

IV.2. კვლევის მეთოდები

შევარჩიე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები: რაოდენობრივიდან შევარჩიე: დაკვირვება, დიალოგი, სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, ხოლო რაოდენობრივიდან-წერილობითი გამოკითხვა-ანკეტირება; მოვახდინე მათი ექსპერტიზა (კოლეგებისათვის გაცნობა)

- დაკვირვება-ჩემი მიზანი იყო დამედგინა, რამდენად სწორად მოვახდინე ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირება. მოსწავლეებზე დაკვირვებამ კვლევის დასასრულსაც მომიწია, რათა დამედგინა, გამოიღო თუ არა შედეგი ჩემ მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა. დაკვირვება იყო ხანგრძლივი. მონაცემებს ვინიშნავდი კვლევის დღიურში. ფოკუსირებული დაკვირვება გამოვიყენე, რამდენად გააუმჯობესებდა კონკრეტული მოსწავლე აკადემიურ მოსწრებას, სწავლის ხარისხს მშობლის აქტიური ჩართვის შემდგომ.
- დიალოგის დროს ჩემი მიზანი იყო მიმელო დამატებითი ინფორმაცია კვლევის საკითხის ირგვლივ, ხოლო კლასში შემსვლელ პედაგოგებთან დიალოგით მინდოდა გამერკვია, როგორი იყო მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა და აქტიურობა სასწავლო პროცესში, იყვნენ თუ არა დაინტერესებულნი ისინი თავიანთი შვილების მდგომარეობით და აკადემიური მოსწრებით.
- ანკეტირება-მოვამზადე კითხვარები როგორც მშობლებისათვის, ასევე კლასში შემსვლელი მასწავლებლებისათვის. კითხვარი იყო ანონიმური, რომ არ შეზღუდულიყვნენ პასუხის გაცემის დროს და პასუხი ყოფილიყო გულწრფელი. ანკეტირებისას მიზნად დავისახე, გამერკვია სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის ხარისხი. ანკეტირებით უფრო ნათლად გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია წარმოქმნილ პრობლემასთან.
- სიღრმისეული ინტერვიუ-გამოვიყენე კლასში შემსვლელ პედაგოგებთან, რომ გამეგო მათი აზრი მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებით.
- ფოკუს-ჯგუფი-(ჯგუფური ინტერვიუ) გამოვიყენე მოსწავლეებთან იმის გასარკვევად, თუ რამდენად აინტერესებდათ მათ მშობლებს სკოლის, კლასის ამბები, ეხმარებოდნენ თუ არა მათ დავალების შესრულებაში, უკითხავდნენ თუ არა წიგნებს, გაზეთებს, ზღაპრებს და ა.შ.

➤ მონაცემთა შეგროვება

მონაცემების ანალიზი-კლასში ჩატარებული სხვადასხვა აქტივობების შედეგების გასაცნობად შევაგროვე ინფორმაცია კლასში არსებული მდგომარეობის შესახებ. კლასში შემსვლელ მასწავლებლებელთან **დიალოგის** შედეგად გამოიკვეთა, რომ მშობელთა პასიური ჩართულობა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე. კვლევის პროცესში განხორციელებულმა აქტივობებმა, რომლებიც გულისხმობდა მშობელთა აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში და საკლასო ღონისძიებებში, ნათლად ცხადყო, რომ მოსწავლეები უფრო აქტიურად მონაწილეობენ საგაკვეთილო პროცესში, უფრო ხალისით ასრულებენ დავალებებს. უფრო თავდაჯერებულნი და აქტიურნი ხდებიან ღონისძიების ჩატარებისას.


მოსწავლეებთან **ფოკუსჯგუფის** ჩატარების მიზანი იყო, მათგან მიმელო ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარებოდა კითხვარის შედგენაში. მონაცემთა შეგროვებაში.

აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანი იყო ამ საკითხთან დაკავშირებით ბავშვების დამოკიდებულების შესწავლა, რაც დამეხმარა კვლევის სწორად წარმართვასა და ჩატარებაში. **გამოკითხვის** შედეგად კი დავადგინე, რომ მოსწავლეთა ნაწილი დადის გახანგრძლივებული დღის ჯგუფში, იქვე ასრულებს საშ. დავალებებს და მათი აზრით, შინ აღარ საჭიროებენ მშობლის დამატებით მეცადინეობას.


კითხვარი მომზადდა ყველა მოსწავლის მშობლისა და კანონიერი მეურვისთვის. კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მშობლებს ანონიმურად უნდა ეპასუხათ კითხვებზე (დანართი 1,2)

ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ მშობლებთან მომცა საშუალება განმესაზღვრა მშობლების დამოკიდებულება სკოლის მიმართ. ამან მომცა ინფორმაცია, თუ რამდენად იყვნენ მშობლები ინფორმირებულნი საკუთარი შვილების სასკოლო ცხოვრების შესახებ.

21 მშობლიდან გამოიკითხა 20. აღმოჩნდა, რომ 15 მათგანი ინფორმირებული იყო შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ დამრიგებლის მხრიდან. 15 ეხმარება და უმოწმებს შვილს საშინაო დავალებას, აგრეთვე ატყობინებს დამრიგებელს შვილის სკოლაში არყოფნის მიზეზს. 18 მშობელი იცნობს შვილის ყველა თანაკლასელსა და მეგობარს. 10 მშობელი ეხმარება შვილს მათემატიკური უნარების განვითარებაში. გამოკითხვის შედეგებს მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ დიაგრამის სახით:



კითხვაზე-ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს კითხვის უნარების განვითარებაში?-
 პასუხები ასე გადანაწილდა: მშობელთა **80%** ეხმარება შვილს კითხვის და წერის
 უნარების განვითარებაში,**12%** იშვიათად, ხოლო **8%** გახანგრძლივებული დღის ჯგუფის
 იმედზეა.



მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად დავადგინე,რომ მათი 100% საჭიროდ თვლის მშობელთა ჩართულობას სასწ.პროცესში.მათი აზრით,ეს პროცესი დადებით ზეგავლენას მოახდენს მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე.მასწავლებლისგან მშობელთა ნაწილი ითხოვს ინფორმაციას შვილის კადემიური მოსწრების შესახებ,მაგრამ არ იცნობს ყველა მშობელს. ამ ეტაპზე ისინი არ არიან კმაყოფილნი მშობელთა ჩართულობით.გამოკითხვის ამ შედეგმაც მომცა სტიმული,რომ გამეაქტიურებინა ისინი - ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა,რომ მშობლების პასიურობის მიზეზი სასკოლო ცხოვრები-სადმი არის:

- მშობლების მოუცლელობა,გადატვირთული დღის რეჟიმი
- მშობლები შეჩვეულნი არიან , რომ მასწავლებელი იყო ინიციატორი მათი შეხვედ-რისა.

ვფიქრობ,რომ ძირითადი მიზეზი პრობლემისა დადგინდა და ქვემოთ აღნიშნული ინტერვენციების განხორციელებაც ამ პრობლემის გადაჭრაში დამეხმარება.

IV.3. კვლევის ვადები:

აქტივობა	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი
საკვლევი პრო-ბლემის შერჩევა	X					

შეხვედრა მშობლებთან	X	X		X	X	X
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X					
საკვლევი მექანიზმის შერჩევა	X	X				
მათზე დაკვირვება		X	X	X	X	X
მიღებული შედეგების ანალიზი					X	
ინტერვენციის შედეგების ანალიზი						X
პრეზენტაცია						X

IV.4. ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა:

მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიძუშავე სავარაუდო ინტერვენციის რამდენიმე ვარიანტი:

- ყოველი პარასკევი გამოცხადდეს მშობლის დღედ;
- საკლასო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, სადაც აუცილებელი იქნებოდა მოსწავლეთა მშობლების ჩართვა:
 - ა) ექსკურსია
 - ბ) საახალწლო ზეიმი
 - გ) კითხვის კონკურსი
 - დ) მხიარული სტარტები მშობლებთან ერთად- ბავშვები მშობლების წინააღმდეგ და ა.შ.
- მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ყოველი თვის ბოლო პარასკევი კლასის საათის დაგეგმვა, სადაც მოსწავლე მშობელთან ერთად

კლასისათვის წაიკითხავს მცირე ზომის მხატვრულ ნაწარმოებებს.

- კითხვის კონკურსი მშობლებთან ერთად
- მშობლების ჩართვა პროექტის მიმდინარეობაში: „როგორ გამოიყურება მილიონი“
- მშობლების დაჯილდოება აქტიური ჩართულობისათვის


მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი პროექტის დამაარსებელმა ქვეინ უოკერმა სკოლებს მოუწოდა „ნუ წუწუნებთ მშობელთა პასიურობაზე, არამედ მოიწვიეთ და სთხოვეთ მათ, გააკეთონ რაც შეიძლება მეტი. თუ მშობელი არ გაითავისებს თავისი ჩართულობის აუცილებლობას, სკოლა ვერასოდეს გახდება დემოკრატიული“¹ და რა თქმა უნდა, მეც მოვიწვიე მშობლები, გავაცანი ჩემი გეგმები, რომ ვაპირებდი კვლევის ჩატარებას და ვთხოვე მათი და მათი შვილების გვერდში დგომა, რაზეც მათი თანხმობა მივიღე. ჩვენ ერთად შევუდექით საქმეს.

პარასკევი დღე გამოვაცხადე მშობლის დღედ (დანართი 5); მშობლებს მოვასმენინე ჯიპრაიდის ორგანიზატორების მიმართვა მშობლებისადმი - „ერთი წუთი მაესტროზე“; გადავეცი ჯიპრაიდის ბროშურა „აქტივობების კრებული მშობლებისათვის“, (დანართი 6) რათა მასში მოცემული აქტივობები საკუთარ შვილებთან განეხორციელებინათ. ყოველ პარასკევს მოდიოდნენ მშობლები, რა თქმა უნდა, საკუთარი სურვილით და მონაწილეობას იღებდნენ საკლასო საქმეებში. ეხმარებოდნენ ბავშვებს. დავგეგმეთ კლასის საათი. პარასკევს დღეს მოხალისე მშობლები შვილთან ერთად უკითხავდნენ ბავშვებს სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებებს (ლექსი, ზღაპარი, მოთხრობა, იგავ-არაკი და სხვა). ჩავატარეთ კითხვის კონკურსი. კლასში ჩავატარეთ მხიარული სტარტები, სადაც დედა და შვილი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მონაწილეობა მიიღეს პროექტის მიმდინარეობაში „როგორ გამოიყურება მილიონი“, დაგვეხმარნენ კენჭების შეგროვებასა და თვლაში; ბოლოს ბავშვები და მათი მშობლები დავაჯილდოეთ სხვადასხვა ნომინაციაში: საუკეთესო მკითხველი, მხატვრული კითხვის ოსტატი, საუკეთესო მსმენელი, სუპერმშობელი, მაგარი დედა და ა.შ. (იხ. განხორციელებული ინტერვენციების ფოტოკოლაჟი, რომელიც გამოქვეყნებულია ჩემს ფეისბუქ-გვერდზე); აღნიშნული ღონისძიებები ძალიან მოეწონათ ბავშვებს. სიხარულით ელოდნენ მომდევნო შეხვედრას. ბოლოს აქტიური მონაწილე რამდენიმე მშობელი დავაჯილდოეთ სიგელით, „სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობისათვის“. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გავაგრძელოთ მომავალი სასწავლო წლიდან.

კვლევის ბოლოს კიდევ ერთხელ მივმართე მშობლებს მხოლოდ ერთი შეკითხვით - როგორ ფიქრობთ, მოახდინა თუ არა გავლენა მშობელთა ჩართულობამ მოსწავლეთა გააქტიურებასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე? პასუხი ერთსულოვანი იყო - კი. (დანართი 4.)

მშობელთა გამოკითხვის შედეგს წარმოგიდგენთ დიაგრამის სახით:

¹ <https://edu.aris.ge/news/skola-da-mshobeli-ras-nishnavs-mshoblis-chartuloba-da-rogor-unda-gadzliedes-mshoblis-rolis-saskolo-cxovreBASHI.html>



თავი V.

ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასება

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეთა თვითშეფასება, უფრო ხალისიანი, მონდომებული და აქტიური გახდნენ. უფრო მეტად გაუჩნდათ სურვილი საკლასო აქტივობებში ჩართულიყვნენ. საგრძნობლად გაუმჯობესდა მათი კითხვის ტექნიკა. თუ მათ მიერ ერთ წუთში წაკითხული სიტყვათა რაოდენობა კვლევის დასაწყისში შეადგენდა 35-40 სიტყვას, ეს რაოდენობა 50-60-მდე გაიზარდა. ამ მონაცემებს მეტი თვალსაჩინოებისათვის დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ:

წაკითხულ სიტყვათა რაოდენობა კვლევის დასაწყისში და ბოლოს



თავი VI

დასკვნები/რეკომენდაციები

VI.1.დასკვნა:

პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო დასკვნა, რომ მშობელთა პასიურობის მიზეზია:

ა) მშობლების მოუცლელობა

ბ) გადატვირთული დღის რეჟიმი

გ) მშობლები მიჩვეულნი არიან დამრიგებლის მხრიდან ინიციატივის გამოჩენას.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო.

შედეგების ანალიზის შედეგად გამომაქვს დასკვნა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლები აღნიშნული აქტივობების შემდეგ აშკარად გაუმჯობესდა. მოსწავლეები თითქოს უფრო თავდაჯერებულნი და აქტიურნი გახდნენ. ბავშვები გამოირჩევიან უფრო პოზიტიური ქცევით. ჩვენი ჰიპოთეზები გამართლდა.

სკოლასა და ოჯახს შორის ორმხრივი, რეგულარული კომუნიკაცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ეფექტური კომუნიკაციისათვის

საჭიროა, რომ მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებდნენ. ისინი

უნდა იყვნენ პარტნიორები ბავშვის სწავლისა და განვითარების საქმეში. სასწავლო

პროცესში მშობლის ჩართულობის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა

საგანმანათლებლო სივრცეში. პრაქტიკული კვლევაც ორიენტირებულია სწორედ

პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის მცდელობაზე.

აუცილებელია, მშობელი ფლობდეს არა მარტო კითხვის, არამედ გაგება-გააზრებასთან დაკავშირებულ მიღწევებს. მასწავლებელმა უნდა დაანახოს და გააცნობიერებინოს მშობელს, რომ იგი არის ბავშვისთვის წიგნიერების ასამაღლებლად ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

VI.2. რეკომენდაციები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- უნდა ხდებოდეს მუდმივი თანამშრომლობა მშობელსა და სკოლას შორის
- მოსწავლეებზე დადებით ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესში ისეთი აქტივობების და ღონისძიების ჩართვა, სადაც აუცილებელი იქნება მშობლის მონაწილეობა
- მუდმივი კომუნიკაცია უნდა არსებობდეს დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებსა და მშობელს შორის
- ხშირად ჩატარდეს საუბარი მშობლებთან აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით
- მუდმივად მიეწოდებოდეს მშობელს ინფორმაცია შვილის შესახებ
- მშობელი ერთ-ერთი რესურსია, რომელიც მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს
- დავანახოთ ჩვენი კეთილგანწყობა-ამით მოვიპოვებთ მათ ნდობას
- ვასწავლოთ, როგორ დაეხმარონ შვილებს
- გავაცნოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ლიტერატურა მშობელთა ჩართულობის ასამაღლებლად
- მშობლებმა ხშირად წაიკითხოთ გაზეთი, ჟურნალი, წიგნი ბავშვების თანდასწრებით. ასე ბავშვები დარწმუნდებიან, რომ კითხვა მნიშვნელოვანია. მათ უნდა ჰქონდეთ საბავშვო წიგნები, წერონ ხშირად, მათი თანდასწრებით წაიკითხოთ ქუჩაში სხვადასხვა აბრები, მოუსმინონ ბავშვებს, როცა გესაუბრებიან მოთხრობის პერსონაჟზე, ფილმისა თუ მულტიპლიკაციური ფილმის პერსონაჟზე.
- ვეთამაშოთ მათ ისეთი თამაშები, რომლებიც მათგან ყურადღებას, საუბარს და გაგებას მოითხოვს. წაკითხვამდე მიცვეთ მოლოდინების გამოთქმის უფლება.

თავი VII

ბიბლიოგრაფია:

ეროვნული სასწავლო გეგმა მუხლი 19. დამრიგებელი. (ა, დ, ვ, ზ პუნქტები)

<http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels>

რადიო, „თავისუფლება“ 2014 წ. 22 აგვისტოს გადაცემა, „მშობელთა ჩართულობა და განათლება“ <https://www.radiotavisupleba.ge/a/mshoblebi-da-skola/26545476.html>

კოალიცია, „განათლება ყველასათვის-საქართველო“-ს კვლევა, „მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში“ თბილისი. 2017წ.

<http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2018/02/13.pdf>.

ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ჯი“ 2012 წლის 3 მაისი

https://www.google.ge/search?source=hp&ei=80yKXlr0J5OEK74PqK-oiAY&q=%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%2C%2C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.%E1%83%AF%E1%83%98%222012%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1+3+%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98&btnK=Google+%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90&oq=%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%2C%2C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98.%E1%83%AF%E1%83%98%222012%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1+3+%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98&gs_l=psy-ab.3...4214.87222..88892...4.0..0.310.8691.0j41j10j1.....0....1..gws-wiz.....0i324j0i3j38j0i30j33i160.2gUqpwbTNm8

ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ჯი“ 2014 წ. 6 თებერვალი <http://mastsavlebeli.ge/?p=2113>

ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ჯი“ 2016 წ. 15 თებერვალი

https://www.google.ge/search?ei=juHNXOiuCcfp6QSnrKOYAQ&q=http%3A%2F%2Fmastsavlebeli.ge%2F%3Fp%3D2113&oq=http%3A%2F%2Fmastsavlebeli.ge%2F%3Fp%3D2113&gs_l=psy-ab.3...420231.425594..428847...0.0..0.239.239.2-1.....0....1j2..gws-wiz.....0..0i71.pZsXN2YBzeQ

ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ჯი“ 2017 წლის 13 ოქტომბერი

<http://mastsavlebeli.ge/?p=15796>

ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ჯი“ 2016 წლის 15 ივნისი <https://edu.aris.ge/news/skola-da-mshobeli-ras-nishnavs-mshoblis-chartuloba-da-rogor-unda-gadzliedes-mshoblis-rolis-saskolo-cxovrebash.html>

ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ჯი“ 2018 წ. 23 მაისი <http://mastsavlebeli.ge/?p=18080>

ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი.ჯი“ 2018 წლის 30 ნოემბერი

<http://mastsavlebeli.ge/?p=19858>

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის თემაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა
09.05.2013

<http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=4580>

სალომე გორგოდის სტატია „სასკოლო ცხოვრება დამშობლები“. 26.10.16.

<http://liberali.ge/articles/view/25520/saskolo-tskhovreba-da-mshoblebi>

საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის კვლევა „მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“ <http://efageorgia.ge/wp-content/up>

EDU.ARIS.GE-ს სტატია „სკოლა და მშობელი“ 2016 წ. 15 ივნისი

სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა და განათლება 22.08.2014

<http://mes.gov.ge/content.php?id=5275&lang=geo>

მ.გოგმაჩაძის სტატია, „მშობელთა ჩართულობა“ 20 ნომბერი 2015წ.

<https://www.slideshare.net/MadonaGogmachadze/ss-55340641>

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ სტატია „მშობელთა ჩართულობა სკოლაში“ 8სექტემბერი 2014. <https://phrgeorgia.wordpress.com/>

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი. II ნაწილი

<https://edu.aris.ge/news/maswavlebelta-profesiuli-ganvitarebis-sqemis-gzamkvlevi-ii-nawili.html>

ინტერნეტრესურსი: www.kargiskola.ge

https://www.google.com/search?q=2015%E1%83%AC.http%3A%2F%2Fkargiskola.ge%2Fparent%2Fpdf%2FPE_GUIDE_2015.pdf&oq=2015%E1%83%AC.http%3A%2F%2Fkargiskola.ge%2Fparent%2Fpdf%2FPE_GUIDE_2015.pdf&aqs=chrome..69i57j69i58.45151j0j4&sourceid=chrome&ie=UTF-8

G-Pride-ის ორგანიზატორების მიმართვა მშობლებს-1 წუთი მაესტროზე-ვიდეორესურსი (პაატა პაპავა, თათა ჭანტურია, ქეთი ჩაჩხიანი, მაკა მახარობლიძე)

<https://www.google.com/search?ei=gurNXMH6MLGSmwWezKzICQ&q=ერთი+წუთი+მაესტროზე-პაატა+პაპავა&oq=ერთი+წუთი+მაესტროზე-პაატა>

დანართები:

დანართი 1.

მოგესალმებით!

ვატარებ კვლევას-მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში. თქვენი მონაწილეობა დიდად დამეხმარება კვლევის წარმატებით ჩატარებაში. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია და არ საჭიროებს სახელისა და გვარის მიწერას.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

რამდენად ხშირად იღებთ თქვენს ბავშვთან ერთად მონაწილეობას შემდეგ აქტივობებში?

	არასდროს	იშვიათად	ხშირად
დახმარება კითხვის უნარების განვითარებისათვის			
დახმარება წერის უნარების განვითარებისათვის			
დახმარება			

მათემატიკური უნარების განვითარებისათვის			
საშინაო დავალების გაკეთება			
საშინაო დავალების შემოწმება			

დანართი 2.

კითხვარი მშობლებისათვის

მოგესალმებით!

ვატარებ კვლევას-მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში.თქვენი,როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით წარმართვისათვის.თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანინიმურია.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

კითხვა	დიახ	არა	ნაწილობრივ
ვიცი ჩემი შვილის გაკვეთილების ცხრილი			
პირადად ვიცნობ მის ყველა პედაგოგს			
ვატყობინებ დამრი- გებელს ბავშვის სკოლაში არყოფნის მიზეზს			
დამრიგებელს ვეკონტაქტები თვეში ერთხელ მაინც			
დამრიგებელთან სატელეფონო			

კონტაქტის ინიციატორი მე ვარ			
მაქვს ზუსტი ინფორ მაცია ჩემი შვილის აკადემიური მოსწრების და დისციპლინის შესახებ			
ვიცნობ ჩემი შვილის ყველა თანაკლასელსა და მეგობარს			

დანართი 3.

კითხვარი მასწავლებლებისათვის

მოგესალმებით!

ვატარებ კვლევას-მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში.თქვენი,როგორც მასწავლებლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით წარმართვისათვის.თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

N	კითხვა	კი	არა
1.	მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ მშობელთა ჩართულობა სასწ.პროცესში?		
2.	იცნობთ თუ არა ყველა მოსწავლის მშობელს?		
3.	ითხოვენ თუ არა მშობლები თქვენგან ინფორ-მაციას შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ?		
4.	მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა მშობლის დასწრება გაკვეთილზე?		
5.	თქვენი აზრით,გამოიწვევს თუ არა მშობლის აქტიური ჩართულობა სასწ.პროცესში მისი შვილის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას?		

6.	ამჟამად ხართ თუ არა კმაყოფილი მშობლების აქტიურობით?		
----	---	--	--

დანართი 4. კითხვარი მშობლებისათვის


მოგესალმებით!


ვატარებ კვლევას-მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში.თქვენი,როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით წარმართვისათვის.თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანინიმურია.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

კითხვა	დიახ	არა
როგორ ფიქრობთ,მოახდინა თუ არა დადებითი გავლენა მშობელთა ჩართულობამ მოსწავლეთა გააქტიურებასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე?		

დანართი 5-6.





რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

საკვლევი თემის შერჩევა განაპირობა მშობელთა პასიურობამ სასწავლო პროცესის მიმართ. აღნიშნული თემა იყო და არის დღემდე აქტუალური. კვლევის მიზანი იყო მშობელთა ჩართვა სასწავლო პროცესში და ამის შედეგად მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება. თემის შერჩევისას ვეერდნობოდი რა ესგ-ის მუხლი. 19-ის ა,დ,ვ,ზ პუნქტებს, მიზნად დავისახე, გამეაქტიურებინა მშობლები და თან მომეხდინა ამ

პროცესებზე დაკვირვება, რა დადებით ზეგავლენას მოახდენდა მოსწავლეთა შედეგებზე. მეწარმეობის კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კვლევის პროცესში რამდენჯერმე მომიწია მშობლებთან შეხვედრა, მშობელთა გამოკითხვა-ანონიმური ანკეტირება-ვაწარმოე წერილობითი ფორმით, კლასში შემსვლელ პედაგოგებთან კი შევარჩიე როგორც დიალოგის ფორმა, ასევე მოვამზადე კითხვარი. კლასშიც ჩავატარე გამოკითხვა და დავადგინე მოსწავლეთა საჭიროებანი. ზოგიერთ მშობელს ინდივიდუალურადაც ვესაუბრე. მშობლებს დავურიგე ჯიპრაიდის ბროშურა, „აქტივობების კრებული მშობლებისათვის“, რათა გასცნობოდნენ და თავიანთ შვილებთან გამოეყენებინათ მასში მოცემული აქტივობები. მოვასმენინე აგრეთვე ჯიპრაიდის მესვეურთა მიმართვა მშობლებისადმი; გამოკითხვის შედეგების გაცნობამ ცხადყო, რომ მშობლების უმრავლესობა სკოლას მინდობილია და პასიურ პოზიციაზეა, არ იცნობს ყველა საგნის მასწავლებელს, არ ეხმარება შვილს საშ. დავალების მომზადებაში. გადავწყვიტე, მათი დახმარებით განმეხორციელებინა სხვადასხვა აქტივობები. დავგეგმე ინტერვენციები. დავიწყე დღიურის წარმოება, სადაც ვინიშნავდი ყველა მიმდინარე მოვლენას თუ განორციელებულ ინტერვენციას, მოკლედ, ავლრიცხავდი ყველაფერს ამ საკითხის ირგვლივ.

ინტერვენციის საწყის ეტაპს წარმოადგენდა სამუშაო შეხვედრა მშობლებთან, რომლის ორგანიზებაც მე გავაკეთე. გავაცანი მშობლებს ჩემი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მშობლებთან ერთად ყველა დაგეგმილი აქტივობა განვახორციელე.

მშობელთა უკუკავშირი-თავდაპირველად მათი მხრიდან იგრძნობოდა ნაკლები დაინტერესება და ეჭვი, თუმცა ბოლოს მოსწონდაც კიდევ საკუთარი თავი სხვა ამპლუაში.

ვფიქრობ, რომ ერთი-ორი აქტივობა ვერ ჩავატარე სათანადო დონეზე, რასაც ხარვეზის სახით მოვიაზრებ ჩემს მუშაობაში. მიმაჩნია აგრეთვე, რომ კვლევის პერიოდი (6 თვე) არ არის საკმარისი აღნიშნული ინტერვენციების ჩასატარებლად, კვლავ უნდა დაიგეგმოს სხვა აქტივობები და გაგრძელდეს მუშაობა ამ მიმართულებით. კვლევის განმავლობაში არც ერთ აქტივობას არ განუცდია **მოდულირება, არც თემისა და მიზნის მოდულირება** არ მომხდარა. დასახული ინტერვენციები თითქმის ყველა განხორციელდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, აქტივობებმა შედეგი გამოიღო, ზოგიერთი მშობელი ადრე თუ ეჭვის თვალთ უყურებდა სხვა მშობელთა გააქტიურებას, ბოლოს თვითონაც არ უდებდნენ ტოლს სხვა მშობლებს.

რას შევცვლიდი აღნიშნული კვლევის გასაუმჯობესებლად? - მოვძებნიდი მეწყვილე პედაგოგს და მასთან ერთად განვახორციელებდი კვლევას. ვფიქრობ, უფრო საინტერესო და შედეგიანი იქნებოდა.

კვლევის დასრულების შემდეგ ჩემი კვლევის შედეგები გავუზიარე დაწყებითი კლასების კათედრის წევრებს. (იხ. ფოტოები) მათთან ერთად განვიხილე ინტერვენციის შედეგები და რეკომენდაციები. მათი მხრიდანაც იქნა შემოთავაზებული რეკომენდაციები, რომ ინტერვენციის პროცესში განხორციელებული მიდგომები მუდმივად გამოვიყენო სასწავლო პროცესში, რასაც მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებ. მათ აღნიშნეს, რომ მათთვისაც საინტერესო იქნება, მსგავსი ტიპის აქტივობები გამოიყენონ თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში. **კოლეგების უკუკავშირი დადებითი იყო.** კვლევის შედეგების გაზიარება მომიხდა მშობლებთანაც. მათ სურვილი გამოთქვეს, მსგავსი ღონისძიებები შემდგომშიც განხორციელდეს. **მათი უკუკავშირიც დადებითი იყო.** ამ ყველაფერმა

საბოლოო ჯამში კარგი შედეგი მოგვცა. კვლევის დასაწყისში თუ მოსწავლეთა ნაწილი 1წთ-ში 40-50 სიტყვას კითხულობდა, კვლევის ბოლოსთვის ეს რიცხვი 60 სიტყვამდე გაიზარდა.

ვფიქრობ, რომ დასახულ მიზანს მივაღწიე. მიუხედავად პატარ-პატარა ხარვეზებისა, კვლევის შედეგი მაინც დადებითად აისახა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. მომავალში გავითვალისწინებ რა ჩემს გამოცდილებას, აღმოჩენილ ხარვეზებს, პედაგოგების რეკომენდაციებს, უფრო ეფექტურად წარვმართავ ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მ.არაბული

დ/წყაროს მე-2 საჯარო სკოლის

დაწყ. კლასების მასწავლებელი